

**პროგრამის განაცხადის ფორმა**

**პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:**

განათლება

**პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:** 04 01

**პროგრამის დასახელება:**

სკოლამდელი აღზრდა და განათლება

**პროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია

**პროგრამის განხორციელების პერიოდი:** 2020-2023 წლები

**პროგრამის მიზანი:**

სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და ბავშვების განვითარებაზე ორიენტირებული სააღმზრდელო და საგანმანათლებლო გარემოს შექმნა

**პროგრამის დასაბუთება და აღწერა:**

სკოლამდელი განათლება ბავშვის აკადემიური და სოციალური განვითარების მნიშვნელოვანი საფეხურია. ბავშვს, რომელიც ხარისხიან სკოლამდელ აღზრდას გადის, გაცილებით უკეთესი მაჩვენებელი აქვს სკოლაში და შემდგომ. სკოლამდელ განათლებაში ინვესტირება არის ერთ-ერთი საუკეთესო ინვესტირება არა მხოლოდ ბავშვში, არამედ საზოგადოებაში. სკოლისათვის და შემდგომი ცხოვრებისათვის მზაობის ხელშეწყობა მრავალმხრივი პროცესია და ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით, ბავშვის სრულფასოვან პიროვნებად ჩამოყალიბების მყარ საფუძველს წარმოადგენს. როდესაც ბავშვი სათანადოდ არის განვითარებული სასკოლო მზაობის კუთხით, იგი ბევრად უფრო წარმატებულია განათლების შემდეგ ეტაპებზე (სკოლა, უმაღლესი სასწავლებელი და სხვა) და ეს მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მის ცხოვრებისეულ წინსვლას.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მიხედვით მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებას წარმოადგენს. „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი განსაზღვრავს მუნიციპალიტეტის ვალდებულებებსა და უფლებამოსილებებს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სფეროში. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ძლიერი და მდგრადი სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სისტემის უზრუნველყოფა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს.

ქალაქის განვითარებასთან ერთად, მოთხოვნა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებზე დღითიდღე იზრდება. არსებული მუნიციპალური საბავშვო ბაღები რთულად უმკლავდებიან მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილებას, რაც ქმნის ახალი ბაღების მშენებლობის აუცილებლობას. გარდა ამისა, სააღმზრდელო პროცესის ხარისხიანად მიწოდება მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მუდმივ განახლებასა და აღმზრდელო პერმანენტულ პროფესიულ გადამზადებას მოითხოვს.

არსებული სიტუაციის ანალიზიდან და მოქალაქეთა საჭიროებებიდან გამომდინარე, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტისთვის პრიორიტეტულია სახელმწიფო სტანდარტების შესაბამისი, საყოველთაოდ და თანაბრად ხელმისაწვდომი, ინკლუზიური სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიწოდების უზრუნველყოფა ქ. ბათუმის მოსახლეობისთვის.

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული ქვეპროგრამები:

- სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მუნიციპალური დაწესებულებების მართვა;
- საბავშვო ბაღების შენობების მშენებლობა და კაპიტალური რეაბილიტაცია.

**პროგრამის ბიუჯეტი**

დასახელება	სულ	2020 წელი	2021 წელი	2022 წელი	2023 წელი
სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მუნიციპალური დაწესებულებების მართვა	<b>64 485 400</b>	15 525 000	15 430 000	16 230 400	17 300 000

საბავშვო ბაღების შენობების მშენებლობა და კაპიტალური რეაბილიტაცია	<b>13 629 640</b>	1 164 400	2 138 000	5 297 240	5 030 000
<b>სულ პროგრამა</b>	<b>78 115 040</b>	<b>16 689 400</b>	<b>17 568 000</b>	<b>21 527 640</b>	<b>22 330 000</b>

**საბოლოო მოსალოდნელი შედეგი**

ხელმისაწვდომია სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებები და შექმნილია ბავშვების განვითარებაზე ორიენტირებული სააღმზრდელო და საგანმანათლებლო გარემო

**დამატებითი ინფორმაცია**

--

პროგრამის საბოლოო შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები					გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია, სამსახური)	მოგროვების მეთოდი	
	2019 წელი (საბაზისო)	2020 წელი	2021 წელი	2022 წელი	2023 წელი					
გაზრდილია სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ხელმისაწვდომობა და შექმნილია ბავშვების განვითარებაზე ორიენტირებული სააღმზრდელო გარემო	მოქმედი სტანდარტების და ნორმების შესაბამისად მუნიციპალურ სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში აღსაზრდელთა დასაშვები მაქსიმალური რაოდენობა	7825	8095	8620	8545	8755	რაოდენობა	ა(ა)იპ - ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანება	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტი ს მერია	მონიტორინგი
	მუნიციპალური სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში აღსაზრდელთა არსებული დასაშვები მაქსიმალური რაოდენობის თანაფარდობა ბათუმის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ სკოლამდელი აღზრდის ასაკის ბავშვების საერთო რაოდენობასთან	45	82	30	25	20	რაოდენობა	ა(ა)იპ - ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანება	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტი ს მერია	მონიტორინგი
	მუნიციპალური სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებაში ჩარიცხვის მსურველ მოქალაქეთა დაუკმაყოფილებელი კვალიფიციური განაცხადების რაოდენობის წილი ყოველწლიურად გამოთავისუფლებული და ახლად შექმნილი ადგილების ჯამთან (ყოველი წლის 15 სექტემბრის მდგომარებით)	22,6	21%	18%	16%	10%	%	ა(ა)იპ - ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანება	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტი ს მერია	მონიტორინგი

<p>შესაბამისი სტანდარტის მუნიციპალური სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების რაოდენობა</p>	30	31	32	33	34	რაოდენობა	ქ. ბათუმის მუნიციპალი ტეტის მერია	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტი ს მერია	მონიტორინგი
---	----	----	----	----	----	-----------	---	--	-------------

**ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა**

**პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:**

სკოლამდელი აღზრდა და განათლება

<b>ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:</b>	04 01 01
---	----------

**ქვეპროგრამის დასახელება:**

სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მუნიციპალური დაწესებულებების მართვა

**ქვეპროგრამის განმახორციელებელი:**

ა(ა)იპ - ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანება

**ქვეპროგრამის ბიუჯეტი:**

დასახელება	2020 წელი
მუნიციპალური ბიუჯეტი	15 525 000
სხვა წყარო	0
<b>სულ ქვეპროგრამა</b>	<b>15 525 000</b>

**ქვეპროგრამის მიზანი:**

სახელმწიფო სტანდარტების შესაბამისი სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიწოდების უზრუნველყოფა

**ქვეპროგრამის დასაბუთება და აღწერა:**

თანაბარი, ხარისხიანი და ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვის პრინციპზე დაფუძნებული ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მისაწოდებლად, საქართველოს მთავრობის მიერ, „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით, 2017 წლის შემოდგომაზე მიღებული იქნა სახელმწიფო სტანდარტები, რომლებიც სავალდებულოა ყველა ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებისათვის.

განათლების მიმართულებით მუნიციპალიტეტისათვის უმნიშველოვანესი სწორედ ზემოხსენებული სტანდარტების დანერგვა და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდაა.

დღეის მდგომარეობით ქ. ბათუმში ფუნქციონირებს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების 33 მუნიციპალური დაწესებულება, რომელიც 233 სააღმზრდელო ჯგუფსა და 8095 აღსაზრდელს ითვლის.

სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მუნიციპალური დაწესებულების მართვა ა(ა)იპ - ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანების მეშვეობით ხორციელდება, რომელსაც გააჩნია შესაბამისი საკადრო რესურსი და მართვის ორგანიზაციული სტრუქტურა.

ქვეპროგრამის ფარგლებში სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების აღსაზრდელებისთვის შექმნილი იქნება ყველა პირობა გონებრივი და ფიზიკური განვითარებისათვის ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით.

სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში საგანმანათლებლო და სააღმზრდელო პროცესის შეუფერხებლად განხორციელების, ბავშვების ჯანმრთელობაზე ზრუნვის, ჯანსაღი კვებასა და სწორი ფიზიკური განვითარების მიზნით ადგილობრივი ბიუჯეტიდან განხორციელდება სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ნორმალური ფუნქციონირებისათვის საჭირო ყველა ხარჯების დაფინანსება, თანამედროვე სტანდარტების დანერგვა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება.

დასახელება	პროდუქტები			
	განზომილება	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
<b>მართვა-ადმინისტრირება</b>				<b>10 878 329</b>

შრომის ანაზღაურება	კაცი	1 338	6 808	9 109 500
შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურება	კაცი	21	3 333	70 000
ოფისის ხარჯები		34	45 726	1 554 679
ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები	ა/მანქანა	1	26 500	26 500
მივლინებები	კაცი	4	163	650
სამედიცინო ხარჯები		33	909	30 000
სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება		33	2 636	87 000
<b>სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების აღსაზრდელთა კვებით უზრუნველყოფა</b>	აღსაზრდელი	8 095	437	<b>3 533 929</b>
<b>სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების თანამშრომელთა ტრენინგები</b>	კაცი	600	67	<b>40 000</b>
<b>სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება</b>				<b>1 072 742</b>
<i>სათამაშოები</i>	ცალი	8 070	22	178 071
<i>რბილი ინვენტარის, უნიფორმისა და პირადი ჰიგიენის საგნების შეძენის ხარჯები</i>	სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულება	33	2 503	82 600
<i>ჭურჭელი და ავეჯის აქსესუარები</i>	სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულება	33	6 061	200 000
<i>ავეჯი</i>	სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულება	33	5 396	178 071
<i>სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებისათვის ელექტრო ტექნიკის შეძენა</i>	სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულება	33	1 333	44 000
<i>სახანძრო უსაფრთხოების ღონისძიებები</i>	სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულება	33	1 212	40 000
<i>სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების შენობების მიმდინარე სარემონტო სამუშაოები</i>	სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულება	14	25 000	350 000
<b>სულ ქვეპროგრამა</b>				<b>15 525 000</b>

**ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა**

დასახელება	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
მართვა-ადმინისტრირება	X	X	X	X
სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების აღსაზრდელთა კვებით უზრუნველყოფა	X	X	X	X
სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების თანამშრომელთა ტრენინგები		X	X	X
სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება	X	X	X	X

**შუალედური მოსალოდნელი შედეგი (2020 წელი)**

უზრუნველყოფილია სახელმწიფო სტანდარტების შესაბამისი სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიწოდება

**დამატებითი ინფორმაცია**

--

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	სამიზნე მაჩვენებელი	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
უზრუნველყოფილია სახელმწიფო სტანდარტების შესაბამისი სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიწოდება	მუნიციპალურ სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში აღსაზრდელთა საერთო რაოდენობა	8 095	რაოდენობა	ააიპ ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანება	კვარტალში ერთხელ	ააიპ ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანება	მონიტორინგი
	სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების რაოდენობა, რომლებიც შეესაბამება დადგენილ სტანდარტებსა და რეგულაციებს	31	რაოდენობა	ააიპ ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანება	კვარტალში ერთხელ	ააიპ ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანება	მონიტორინგი
	გადამზადებულ თანამშრომელთა რაოდენობა	600	რაოდენობა	ააიპ ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანება	კვარტალში ერთხელ	ააიპ ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანება	მონიტორინგი



**ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა**

**პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:**

სკოლამდელი აღზრდა და განათლება

<b>ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:</b>	04 01 02
	04 01 03

**ქვეპროგრამის დასახელება:**

საბავშვო ბაღების შენობების მშენებლობა და კაპიტალური რეაბილიტაცია

**ქვეპროგრამის განმახორციელებელი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია  
ა(ა)იპ - საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო

**ქვეპროგრამის ბიუჯეტი:**

დასახელება	2020 წელი
მუნიციპალური ბიუჯეტი	1 164 400
სხვა წყარო	0
<b>სულ ქვეპროგრამა</b>	<b>1 164 400</b>

**ქვეპროგრამის მიზანი:**

სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების მშენებლობა და არსებული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია

**ქვეპროგრამის დასაბუთება და აღწერა:**

ქალაქის განვითარებასთან ერთად მოთხოვნა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებზე დღითიდღე იზრდება. არსებული მუნიციპალური საბავშვო ბაღები რთულად უმკლავდებიან მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილებას, რაც ქმნის ახალი ბაღების მშენებლობის აუცილებლობას. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მშენებლობა, კეთილმოწყობა-რეაბილიტაცია ხელს შეუწყობს სასწავლო-აღზრდელიობითი პროცესის ხარისხის ამაღლებას. ესთეტიკური და მიმზიდველი გარემოს შექმნა ქართულ საბავშვო-საგანმანათლებლო სივრცეს კიდევ უფრო დააახლოებს თანამედროვე ევროპულ-საგანმანათლებლო სივრცესთან. ქვეპროგრამის განხორციელება საზოგადოებისთვის კიდევ უფრო ნათელს გახდის სახელმწიფოებრივ ზრუნვას მომავალი თაობის სწავლა-აღზრდისათვის. ქვეპროგრამის განხორციელების შედეგად, ბავშვებს შეეძლება უსაფრთხო გარემო, შეიქმნება მომავალი თაობისათვის გონებრივი და ზნეობრივი განვითარებისათვის სათანადო პირობები. არსებული საბავშვო ბაღები არის აშენებული საკმაოდ დიდი ხნის წინ და შენობებს არ ჩატარებია კაპიტალური რემონტი, რის გამოც საბავშვო ბაღების შენობების ნაწილი არის ამორტიზირებული და საჭიროებს გადაუდებელ კაპიტალურ რემონტს. გარდა ამისა, კონტინენტის ზრდის გამო აუცილებელია ახალი საბავშვო ბაღების მშენებლობა.

საბავშვო ბაღი წარმოადგენს დაწესებულებას სკოლამდელი ასაკის ბავშვების საზოგადოებრივი აღზრდისათვის. ბავშვთა ბაღი, როგორც დაწესებულების ტიპი, ბევრ ქვეყანაში არსებობს და წარმოადგენს პირველ რგოლს განათლების სისტემაში. ქვეპროგრამის ფარგლებში, საბავშვო ბაღების ბავშვებისათვის შექმნილი იქნება ყველა პირობა გონებრივი და ფიზიკური განვითარებისათვის ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით.

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ქ. ბათუმში, მ. ლერმონტოვის ქ. #96-ის მიმდებარედ საბავშვო ბაღის მშენებლობა; საბავშვო ბაღების შენობების მშენებლობისა და კაპიტალური რეაბილიტაციის სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა.

დასახელება	პროდუქტები			
	განზომილება	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
<b>ქ. ბათუმში, მ. ლერმონტოვის ქ. #96-ის მიმდებარედ საბავშვო ბაღის მშენებლობა</b>	ერთეული	1	1 034 600	<b>1 034 600</b>

საბავშვო ბაღების შენობების მშენებლობისა და კაპიტალური რეაბილიტაციის სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა	ერთეული	1	11 900	<b>11 900</b>
ელ. ენერჯის ქსელზე მიერთება	პროექტი	1	10 500	<b>10 500</b>
წინა პერიოდის დავალიანების დაფარვა (ქ. ბათუმში, ლერმონტოვისა და ხიმშიაშვილის ქუჩების მიმდებარედ (ფერადის ქუჩაზე) N27 საბავშვო ბაღის საძირკვლების გაძლიერებისა და სარეაბილიტაციო სამუშაოები				<b>107 400</b>
<b>სულ ქვეპროგრამა</b>				<b>1 164 400</b>

**ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა**

დასახელება	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
ქ. ბათუმში, მ. ლერმონტოვის ქ. #96-ის მიმდებარედ საბავშვო ბაღის მშენებლობა	x	x	x	x
საბავშვო ბაღების შენობების მშენებლობისა და კაპიტალური რეაბილიტაციის სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა	x	x	x	x
ელ. ენერჯის ქსელზე მიერთება	x	x	x	x

**შუალედური მოსალოდნელი შედეგი (2020 წელი)**

რეაბილიტირებულია სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ინფრასტრუქტურა

**დამატებითი ინფორმაცია**

ქ. ბათუმში, მ. ლერმონტოვის ქ. #96-ის მიმდებარედ საბავშვო ბაღის მშენებლობა (მრავალწლიანი პროექტი 2019-2020 წლები, პროექტის ღირებულება 1912504,87 ლარი)
საბავშვო ბაღების შენობების მშენებლობისა და კაპიტალური რეაბილიტაციის სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა 2019-2020 წ.წ. 19201,65 ლარი

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	სამიზნე მაჩვენებელი	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
რეაბილიტირებულია სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ინფრასტრუქტურა	ახალი ბაღის მშენებლობის რაოდენობა	1	რაოდენობა	ა(ა)იპ - საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო	კვარტალში ერთხელ	ა(ა)იპ - საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო	მონიტორინგი